

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საპროსტო ორგანო

18 ივნისი, ხუთშაბათი, 1987 № 118 (9529) ● ფასი 8 კაპ.

გამომდის 1934 წლის 13 აპრილიდან



ВЕСЕЛОСТИ ИЛИ РЫЧАЩИХ СПОРТИВНЫХ ШКОЛ

# თაბაგები წყალგურთით

საპროტული სპორტული მოსწავლეობის საკავშირო სპორტული თაბაგები

- შაჯირების მონაწილენი დღეს აბაკაბანს ნორმატივებს საერთო ფიზიკურ მოწინააღმდეგეობაში
- სხალ პირველი შეხვედრაში



## საქართველოს ნაკრები გუნდი

ინინი დაცემენ რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას

გუნდის უფროსი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვლადიმერ ბარნაბიშვილი, უფროსი მწვრთნელი — გივი ხურთაია, მწვრთნელი — ჯემალ კინწურაშვილი, ექიმი — დონარა პეტრიაშვილი, გუნდის კომორგი — ვანია ზოდელაძე, საშეფო ორგანიზაცია — სპორტო გავრცელება „ელვა“. პასუხისმგებელი გუნდის მომზადებისთვის — თბილისის განათლების სამმართველოს წყალბურთის სპეციალიზებული სკოლა (დირექტორი მერაბ ქართველიშვილი). გუნდის შემადგენლობა: მეკარეები — გიორგი გვირიტიანი (თბილისი) და გარბიელ პოსოხოვი (რუსთავი), მცველები — გიორგი გონაძე, გიორგი ბუჭიაშვილი, გიორგი მანაჩიძე (სამივე — თბილისი), შუა ხაზის მოთამაშეები — ირაკლი ტატიშვილი (გუნდის კომორგი), ზვიად დავითიანი (გუნდის თავი), გიორგი გრიგოლია, ვლადიმერ შიტიანიშვილი (თბილისი) — თბილისი, ოთარ პატარიძე (ქუთაისი), თავდამსხმელები: ბაკურ ცხომელიძე და სერგო გოგიჩივი, დავით ბურდული (სამივე — თბილისი).

გუნდი ჩამოყალიბდა ერთი წლის წინათ. თამაშებისთვის მზადების ერთ-ერთ ეტაპზე ჩვენმა ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო ლვოვში გამართულ საქართველო ტურნირში, სადაც მოკავშირე რესპუბლიკების უძლიერესი კოლექტივები გამოდიოდნენ. აქ საქართველოს გუნდი მეორე ადგილზე გავიდა — მას მხოლოდ ბურთების შეფარდებით აჯობეს ასპარეზობის მასპინძლებმა. შემდეგ იყო კინწურაშვილის საკავშირო ტურნირი. თავისზე უფროსებთან შეჯიბრებაში ჩვენმა ნაკრებმა მესამე ადგილი დაიკავა. მისში გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ ტრადიციულ საქართველო ტურნირში, რომელიც მოსკოვში გაიმართა, გუნდი კვლავ მესამე ადგილზე გავიდა. მეტოქეთა შემადგენლობა თითქმის იგივე იყო, რაც თამაშებზე იქნება. დასკვნით ეტაპზე გუნდი გამოვიდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობაში. სადაც უკვე უპირატესობით მოიპოვა პირველი ადგილი.

იხ. გვ. 2-33

## სსრ კავშირის ჩემპიონატი ტყვიის სროლაში



## მგვიცა ხასიათი

ინოვაციური სსრ კავშირის სპორტის ჩემპიონატი

ტყვიის მსროლელთა პირად-გუნდურ საკავშირო ჩემპიონატს, რომელიც მოსკოვში მიტინგის ოლიმპიურ სასროლეთზე მიმდინარეობს, ყველაფერთან ერთად, ერთი კონკრეტული მიზანი აქვს — ევროპის მომავალი ჩემპიონატის წინ ნაკრების კანდიდატები უნდა შეარჩიოს. ეს გარემოება შეჯიბრებისადმი ინტერესს ერთი-ორად ზრდის და მის მძაფრ სიუჟეტსაც განსაზღვრავს.

საინტერესოა, რომ ბრძოლის დაძაბულობას ყველა მონაწილე ერთნაირად ვერ უძლებს. ბევრმა ლიდერმა ფინალური სერიების შემდეგ შესამჩნევად დათმო პოზიცია. ზოგიერთი კი საპრიზო ადგილებზე ვერ გავიდა. სამაგიეროდ ისინი, ვინც სტაბილურობითა და მტკიცე ნერვებით გამოირჩევიან სატურნირო სიმძაფრეს უძლებენ და უპირატესობასაც ბოლომდე ინარჩუნებენ.

თბილისელი ნინო სალუქვაძე, რომელიც შეიარაღებულ ძალთა ნაკრების ლიდერებს იცავს, ჯერ მხოლოდ 19 წლისა, მაგრამ ხასიათით იგი ნამდვილი მებრძოლია და არავითარ სირთულეს არ უშინდება. მცირეკალიბრის პისტოლეტით სროლაში დინამიკურ ტანხა გონაროვას სახით მას შეუპოვარი მეტოქე ჰყავდა, რომელმაც მეტოქე ადგილიდან ფინალურ სერიებში სროლის შემდეგ, მეორე ადგილზე გადაინაცვლა, მაგრამ მეტის გაკეთება ვერ შე-

შეჯიბრების მონაწილე გუნდები ორ ქვეჯგუფში გაყოფიან.

### I ქვეჯგუფი

1. სამხრეთის ზონის რესპუბლიკები (სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ნაკრები)
2. საბჭოთა არმია (ნაკრები)
3. რსფსრ (განათლების სამინისტროს გუნდი)
4. პროფკავშირები-1 (ნაკრები).

### II ქვეჯგუფი

1. დასავლეთის ზონის რესპუბლიკები (სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ნაკრები)
2. უკრაინა (განათლების სამინისტროს გუნდი)
3. „დინამო“ (ნაკრები)
4. საქართველო (ნაკრები)
5. პროფკავშირები-2 (ნაკრები).

დღეულების შესაბამისად, გუნდები უშუალოდ შეჯიბრების დაწყებამდე ახარებენ ნორმატივებს ფიზიკურ მომზადებაში

### დღეს პროგრამაში:

- რბენა 30 მეტრზე;
- ლეჩქე მობილდა;
- ორკოლორამიანი სამედიცინო ბურთის გდება;

### გარჯიშვანი წყალვა:

- წყლიდან სიმალეზე ტანის ამოხიდა;
- წყალბურთის ბურთის შორ მანძილზე გადაგდება;
- ბურთით დობილი 20 მეტრზე.

საერთო ფიზიკურ მომზადებაში მიღებული შეფასება ჩათვალაში შედის.

## ალა-ინფორაცია

ბალნეში დამთავრდა ჩოგბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრება სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენთა მონაწილეობით. ამ პრესტიჟულ ტურნირში თავი გამოიჩინა ვლადიმერ გაბრიჩიძემ, რომელმაც დაამარცხა რიგედი ძელდე — 6:1, 2:6, 7:6. მანვე დავით კაპარავასთან ერთად ფინალში სძლია სურთხალი-ოიასალუს წყვილს (ესტონეთი) — 7:6, 6:3.

## საპროტა კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

## მასპინძლებმა გაამარჯვებინა დაიწყეს

გუშინ თბილისში, ლენინური კომპლექსის საბელონის საწყობის კომპლექსში დაიწყო წყალბურთელთა საქართველო ჩემპიონატის II წრის შეხვედრები. აქ IV ტურის მატჩების გასამართავად შეიკრიბნენ სევესტოპოლის შავი ზღვის წითელდროშოვანი ფლოტის (კრე), სამხედრო სპორტო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბის (ცსკ ვმფ) გუნდები, ხარკოვის „ლოკომოტივი“, ლენინგრადის „ბალტიკა“, მოსკოვის „უნევერსიტეტი“ და თბილისის „დინამო“.

პირველ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ „ლოკომოტივი“ და „უნივერსიტეტი“ (6:7). ცსკ ვმფ და „ბალტიკა“ (9:4), „დინამო“ და კრე (12:6).



პიონერული ჯგუფების სიხლსახვე ცხოვრებას დაუსადგურებია ცხვირბაში, სადაც ათასობით მოზარდი ისვენებს. რეპორტაჟს პიონერული ქალაქიდან „ლელოს“ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

## საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი ჭადრაკში

## დანიშნულა ლაშა ჯანჯღაპა

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 47-ე ჩემპიონატში 9 ტური გათამაშდა. ყველას აინტერესებდა, შეძლებდა თუ არა საერთაშორისო ოსტატი ზურაბ სტურუა ზედხედ მეექვსე გამარჯვების მოპოვებას. ამჯერად იგი შავი ფიგურებით ქუთაისელ ოსტატობის კანდიდატს ნუკრი მანაგაძეს ეთამაშებოდა. ფრანგული დაცვის ერთ-ერთ რთულ ვარიანტში მანაგაძემ მცირე უპირატესობა მიიღო. მიტელ-შპალში მან ხარისხი დათმო ორ პაიკში და მეფის ფრთაზე წამოიწყო შეტევა. სტურუა კარგად იცავდა თავს, მაგრამ ცაიტნოტში შეცდომა დაუშვა — პაიკი დაკარგა. მანაგაძემ ზუსტად გამოიყენა მატერიალური უპირატესობა (ზედმეტი ხარისხი) და გაიმარჯვა.

თამაშ ტაბატაძისა და ლაშა ჯანჯღაპას შეხვედრაში ჯანჯღაპამ ტაქტიკური დარტყმით პაიკი მოიგო, მაგრამ იგი მალე უკანვე დაუბრუნა მეტოქეს. თამაში ენდშპოლში გადავიდა, სადაც მას ორი კუს უპირატესობა და ლაზიერის ფრთაზე გამსვლელი პაიკი ჰქონდა. ტაბატაძე თავამოდებოდა იბრძოდა, მაგრამ ახალგაზრდა ოსტატმა შეძლო პოზიციური უპირატესობის რეალიზება და ზედხედ მეორე გამარჯვება მოიპოვა. ჯანჯღაპა ახლა 7 ქულით ერთპიროვნული ლიდერია.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: გაფრინდაშვილი-შალაბერიძე — 1:0, გუდგანაშვილი-ბეკურია — 0,5:0,5, ჩაჩბაია-ეფენიძე — 0:1, ბალათურთა-კრასენკოვი — 0,5:0,5.

მწვავე პოზიციის გადაღობ ტყე-ბუჩავა-გიორგაძის პარტია.

9 ტურის შემდეგ ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: ლაშა ჯანჯღაპა — 7 ქული, ზურაბ სტურუა (ორივე — თბილისი), მიხეილ კრასენკოვი (ბათუმი) — 6-6, გია გიორგაძე (თბილისი) — 5 (1), ბესიკ ხეცურიანი (ქუთაისი), პატა გაფრინდაშვილი (თბილისი) — 5-5.

გაიხილ ვაჟაბაძე, ოსტატობის კანდიდატი.

## ალსაზრდულბთან ერთად

მალხაზ მერმანიშვილს საჭიდაო სამყაროში კარგად იცნობენ. იგი თავისი ფულბოლიში საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებების მრავალჯერ პრიზიორია. მალხაზი დიდხანს ბელორუსის დედაქალაქის სახელს იცავდა და მამიქ წონაში ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭიდავე იყო.

ახლა იგი მშობლიურ თბილისში დაბრუნდა და პედაგოგიურ საქმიანობას მიჰყო ხელი (ახალგაზრდებს ავარჯიშებს), თანაც სარბიულზე გამოდის. ამ დღეებში მალხაზ მერმანიშვილმა და ჩვენი რესპუბლიკის კიდევ ორმა მოჭიდავემ იუგოსლავიის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში იასპარეზეს. მალხაზი ამჯერადაც მოჭიდავის სიმამლეზე იდგა, ყველა მეტოქე დამარცხა (მათ შორის მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი, უნგრელი ი. ბალა) და პირველი ადგილი დაიკავა.

პრიზიორთა შორის მოხვდა ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელი ვასილ ჭასაშვილი (82 კგ).




სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები

წყალბურთი • ასპარაგოზის მთავარი მსახი

ეპიკენი სმირნოვი

დაიბადა 1920 წელს. ცხკა ვფშ-ის მწვრთნელი, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საპატიო მსახი.



ეს ინტერვიუ ტბილის ბანათლასის სამმართველოს საცხარო აუზზე გაუშინ ჩამოვართვით სტუმარს.



თამაშების პროგრამით პირველი შეჯიბრება წყალბურთში ტარდება და, ამდენად, თქვენ ნორჩ სპორტსმენთა დიდი ფორუმის პირველი მთავარი მსახი ბრძანდებით, რომელიც ჩვენს ქალაქს ეწვია. პირველ ყოვლისა, ალბათ სპორტული ბაზის მზადყოფნით დაინტერესდით...

— რა თქმა უნდა. შეჯიბრების ორგანიზატორებს მართლაც დიდი შრომა გაუწევიათ. წუხელ ღამითაც მუშაობდნენ, აუზიც ახალი წყლით აავსეს. დღეს დამთავრდა ელექტროტაბლოს მონტაჟი. მუშაობის შესანიშნავი პირობები ექნება მსაჯთა კოლეჯის, აგრეთვე უზრუნველდება...

ადრე ფინალური შეხვედრების ჩატარება ნავარაუდები იყო ლენინური კომკავშირის ხანძრობის ხაწყოლონო კომპლექსში. როგორც ამბობენ, შეიძლება ასპარაგოზმა აქვე დამთავრდეს. თქვენ რას იტყვით?

— არც მე, არც გუნდების წარმომადგენლებს. არავითარი პრეტენზიები არა გვაქვს. ალბათ, საბოლოოდ შევთანხმდებით, რომ ასპარაგოზმა მართლაც აქვე დავამთავროთ. იმედია, ტაბლო გამართულად იმუშავებს.

რა თავიხებურებით გამოირჩევა ნორჩ წყალბურთელთა ეს ასპარაგოზი?


— მთავარი ალბათ ის არის, რომ 16 წლამდე მოზარდების შეჯიბრება, მხედველობაში მაქვს საკავშირო ასპარაგოზმა, ჯერ არასდროს ჩატარებულა. ამდენად, ეს ლენინისიძებ უკვე ინტერესს იწვევს. ჩვენი სპორტის ცვლა, იმედი მაქვს, გამოცდის წარმატებით ჩააბარებს და სახელებს, რომლებსაც პირველად გავიგებთ თბილისში, მომავალში ქვეყნის ოლიმპიური ნაყრების, წვერთა სიაშიც ვინილათ.

დღეიდან თბილისის განათლების სამმართველოს ხაცურაო აუზზე (საირმის ქუჩა) მუშაობს პრესცენტრი. ტელეფონების ნომრებია: 87-64-01, 87-64-05.



სპორტსმენები სწრაფად უმეგობრდებიან ერთმანეთს. ასე იყო აშუამადაც. თბილისელ და ალმათელ მოსწავლე წყალბურთელებს ბევრი რამ აქვთ საერთო.

ს უ რ ა თ ე: — მარცხნიდან: ირაკლი ტატოშვილი, გავრილ ჩერნოუსოვი, ზვიად დავითიანი და ალექსანდრ ზაბაროვსკი.



ნორჩ წყალბურთელთა ასპარაგოზის კალენდარი

- 19 ივნისი. 10 ს. სამხრეთი ზონა — შრომითი რეზერვები.
21 ს. პროფკავშირები-1 — რსფსრ
12 ს. შეჯიბრების სახეივო გახსნა
12 ს. 30 წ. დასავლეთი ზონა — უკრაინა
13 ს. 30 წ. პროფკავშირები-2 — საქართველო
20 ივნისი. 10 ს. უკრაინა — საქართველო
11 ს. დასავლეთის ზონა — „დინამო“
12 ს. „შრომითი რეზერვები“ — რსფსრ
13 ს. სამხრეთი ზონა — საბჭოთა არმია
21 ივნისი. 16 ს. საბჭოთა არმია — პროფკავშირები-1
17 ს. რსფსრ — სამხრეთი ზონა
18 ს. „დინამო“ — პროფკავშირები-2
19 ს. საქართველო — დასავლეთი ზონა
22 ივნისი. 16 ს. პროფკავშირები-2 — დასავლეთი ზონა
17 ს. „დინამო“ — უკრაინა
18 ს. პროფკავშირები-1 — სამხრეთი ზონა
19 ს; საბჭოთა არმია — „შრომითი რეზერვები“
23 ივნისი. 16 ს. რსფსრ — საბჭოთა არმია
17 ს. „შრომითი რეზერვები“ — პროფკავშირები-1
18 ს. საქართველო — „დინამო“
19 ს. უკრაინა — პროფკავშირები-2. ამით მთავრდება წინასწარი შეხვედრები. 24 ივნისს დასვენების დღეა. თამაშები 25 ივნისს განახლდება.

ფობოზრალდაბა

თბილისი. პავლოვის ქუჩა № 4 ა. ერთ დროს ამ ხაცხოვრებელი კორპუსის ეზოში კარგი სპორტული მოედანი იყო. ყოველ შემთხვევაში, ბავშვები თავისუფალ დროს აქ ატარებდნენ და ქუჩაში მაინც არ გარბოდნენ ხათამაშოდ. მაგრამ... ჯერ იყო და მანქანის მფლობელებმა დაიწყეს ნელ-ნელა მოედნის შევიწროება, ზოგიერთმა კი ზედ მოედანთან გარეშე ჩადგა, მერე მშენებლები მოვიდნენ, კორპუსს

ლოკიების მიშენება დაუწყეს და მოედანი მთლიანად გაუქმდა, სამშენებლო მასალის დასაგროვებლ და ნაგვის საყრდელ ადგილად იქცა. „ლელოს“ ბრიგადა ამ ეზოს, მცხოვრებთა თხოვნით, ჯერ კიდევ ამ ერთი თვის წინათ ეწვია. მაშინ, როგორც იცით, სპორტული ნაგებობებისა და მარტივი ტიპის სპორტული მოედნების კეთილმოწყობა-დათვალერების ერთ-



დროე პორიჭანა

ბაქოდან ორმოციოდე კილომეტრის დაშორებით მდებარე ხანატორიუმ „ზაგულაში“ მიმდინარე წლის მარტში ჩატარდა მისიელი ბოტვინიკისა და გარი კასპაროვის დაუსწრებელი საჭადრაკო სკოლის მორიგი სესია. ანატოლი კარპოვთან მატჩების წინ გარი კასპაროვი სწორედ ამ ხანატორიუმში ატარებდა ბოლო შეჯიბრებს. წყნარი, ღამაში ხეივანი, ზღვიდან მონახერი გრილი, გამჭირვალე ჰაერი საჭადრაკო მუშაობისთვის იდეალურ პირობებს ქმნის.

„ამ სვლას ველოდი“

მთავარი კორპუსის ერთ-ერთ ოთახში მეცადინეობებს ატარებს საკავშირო საჭადრაკო სკოლა, რომელშიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან წარმოგზავნილი 12 ნიჭიერი მოზარდია ჩაირცხული. მათ შორისაა ჩვენი რესპუბლიკის ორი წარმომადგენელიც: ნათია ჯანჭლავა და აკაკი იაშვილი.

იმ დილით უჩვეულო გამოცოცხლება იგრძნობოდა. ბავშვები გამარჯვებას ულოცავდნენ თავიანთ ამხანაგს — აინურ სოფიევას. აინურმა მადრასში, საერთაშორისო ტურნირზე, ნანა ალექსანდრისთან ერთად I-II ადგილები გაიყო და დიდოსტატის პირველი ბალიც შეაარულა.

„ნაზიომო“ ნაწილი დამთავრდა და სოფიევა მადრასში გათამაშებული პარტიების ჩვენებას შეუდგა. პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, თავის ძლიერ მეტოქესთან — ნანა ალექსანდრისთან ნათამაშებ პარტიას არჩევს. მერვე სვლა სოფიევამ თორიის მიხედვით არ ითამაშა და განმარტა, რომ ლაზიერის ფლანგზე პაივის სვლას და შევების კუს დიდ დიაგონალზე გადაყვანას ელოდა. ერთი სიტყვით, სოფიევამ მეტოქეს თავისი საყვარელი სქემის გათამაშების შანსი არ მისცა. მე ამ ეპიზოდს ასე დაწვრილებით არ აღწერდი, სოფიევა „მოსალოდნელი“ სვლის შესახებ ინფორმაცია კომპიუტერისგან რომ არ მიეღო. საჭე ისაა, რომ აზერბაიჯანის საჭადრაკო საკომპიუტერო ცენტრში შექმნილია პროგრამა, რომელიც მის „მეხსიერებაში“ ფიქსირებული პარტიების საშუალებით მოჭადრაკეთა თამაშის მოდელირებას ახდენს. სწორედ ამ პროგრამით უსარგებლია სოფიევას.

პროგრამის შესაძლებლობების გაზვიადება არ მინდა. მით უმეტეს, რომ ნანამ ეს პარტია წაავო არა საშინაო საკომპიუტერო მომზადების, არამედ მიტელშიში დამუშავებული შეცდომის გამო. თუმცა, ცხადია, რომ ეს პროგრამა ძალზე აადვილებს შეჯიბრებისთვის მომზადებას.

პროგრამის შესაძლებლობების გაზვიადება არ მინდა. მით უმეტეს, რომ ნანამ ეს პარტია წაავო არა საშინაო საკომპიუტერო მომზადების, არამედ მიტელშიში დამუშავებული შეცდომის გამო. თუმცა, ცხადია, რომ ეს პროგრამა ძალზე აადვილებს შეჯიბრებისთვის მომზადებას.

ფიშარი პრ გათანხმებათ

უკვე წელიწადზე მეტია, რაც აზერბაიჯანის რესპუბლიკურ საჭადრაკო სკოლაში შეუშავდა დაბ-

როგარამებული სწავლების სისტემა ელექტროგამომთვლელი მანქანის გამოყენებით. სკოლის ერთ-ერთ ოთახში რვა კომპიუტერი დგას თავისი დისპლეებით. წელსაც ამდენივეს შეიძენენ. უკვე შექმნილია 122 პროგრამა სხვადასხვა თემაზე. მაგალითად, პროგრამა „სტრატეგიული გეგმები“ შეიცავს ისეთ თემებს, როგორცაა გარღვევა (ენტროპი, პაიკების შტურმი, თამაში იზოლირებული პაიკის წინააღმდეგ, სუსტი უჯრების ბლოკადა და ა.შ., აგრეთვე მრავალ სადებიუტო და სავალდებულო პოზიციას. საინტერესო საგამოცდო პროგრამებიც არსებობს სხვადასხვა კვალიფიკაციის მოჭადრაკეთათვის.

ერთ-ერთი მანქანა ტესტებს შეიცავს. ჩვენი მისვლისას რობერტ ფიშარისა და პაულ ბენკოს პარტიას არჩევდნენ. მანქანა გვიჩვენებს ბენკოს სვლებს, ახალგაზრდა მოჭადრაკემ კი საუკეთესო გარკმლებზე უნდა უნდა იპოვოს, ანუ ფიშარივით ითამაშოს. ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ ბიჭმა უპასუხა, მაგრამ ეს არ იყო საუკეთესო ვარიანტი. ეკრანზე წავიკითხეთ: „ფიშარი არ გათანხმებიათ“. მაშასადამე, კიდევ ფიქრია საჭირო. ამგვარი ტესტების შედეგების მიხედვით ელექტროგამომთვლელი მანქანა ადვანსებს მოჭადრაკის პასუხებს და გვიჩვენებს დიაგრამებს, რომლებზეც გამოსაცდელი მოჭადრაკის სუსტი მხარეები ჩანს. არსებობს, აგრეთვე, „ბიორიტმის“ პროგრამები. გამომცხვანი მოწყობილობის დახმარებით მთელი ინფორმაციის ანაბეჭდს იღებენ, დისპლეზე რომ იყო გამოსახული. ამ ანაბეჭდებს ამრავლებენ და აზერბაიჯანის სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის საჭადრაკო სკოლებში გზავნიან. მათ მუშაობას რესპუბლიკური სკოლა აგრეულირებს. ჯერჯერობით ყოველივე ეს ფოსტის საშუალებით ხორციელდება, მომავალში კი ფიქრობენ, ყველა სკოლა მიმდები და გადამცემი მოწყობილობებით უზრუნველყონ. საგულსხმათა, რომ საშობიდან ორმოცდაათ რაიონში საჭადრაკო სკოლებია გახსნილი. ჰადრაკისადმი ამგვარმა დამოკიდებულებამ უდავოდ ხელი შეუწყო ბოლო წლებში აზერბაიჯანში მოზარდი თამაშის წარმატებებს.

ერთ-ერთი მანქანა ტესტებს შეიცავს. ჩვენი მისვლისას რობერტ ფიშარისა და პაულ ბენკოს პარტიას არჩევდნენ. მანქანა გვიჩვენებს ბენკოს სვლებს, ახალგაზრდა მოჭადრაკემ კი საუკეთესო გარკმლებზე უნდა უნდა იპოვოს, ანუ ფიშარივით ითამაშოს. ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ ბიჭმა უპასუხა, მაგრამ ეს არ იყო საუკეთესო ვარიანტი. ეკრანზე წავიკითხეთ: „ფიშარი არ გათანხმებიათ“. მაშასადამე, კიდევ ფიქრია საჭირო. ამგვარი ტესტების შედეგების მიხედვით ელექტროგამომთვლელი მანქანა ადვანსებს მოჭადრაკის პასუხებს და გვიჩვენებს დიაგრამებს, რომლებზეც გამოსაცდელი მოჭადრაკის სუსტი მხარეები ჩანს. არსებობს, აგრეთვე, „ბიორიტმის“ პროგრამები. გამომცხვანი მოწყობილობის დახმარებით მთელი ინფორმაციის ანაბეჭდს იღებენ, დისპლეზე რომ იყო გამოსახული. ამ ანაბეჭდებს ამრავლებენ და აზერბაიჯანის სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის საჭადრაკო სკოლებში გზავნიან. მათ მუშაობას რესპუბლიკური სკოლა აგრეულირებს. ჯერჯერობით ყოველივე ეს ფოსტის საშუალებით ხორციელდება, მომავალში კი ფიქრობენ, ყველა სკოლა მიმდები და გადამცემი მოწყობილობებით უზრუნველყონ. საგულსხმათა, რომ საშობიდან ორმოცდაათ რაიონში საჭადრაკო სკოლებია გახსნილი. ჰადრაკისადმი ამგვარმა დამოკიდებულებამ უდავოდ ხელი შეუწყო ბოლო წლებში აზერბაიჯანში მოზარდი თამაშის წარმატებებს.

ამოკლად

ლანჩუთი. № 48 პროფტექნიკური სასწავლებლის გუნდმა გაიმარჯვა მაგიდის ჩოგბურთში გა-

თვიური მიმდინარეობა. შეიხედით! მწვენიელობა წარმოადგენს ნელს დაგვირდეთ. მოედანს აუცილებლად აივადგუნთო. ჩვენც ვაყენილიდეთ. მაგრამ... გუშინ ზუსტად იგივე სიტუაცია დაგვიხვდა, რაც ამ ერთი თვის წინათ იყო. რაკი არაფერი შეცვლილა, ისევე ადრე გადადებულ ფოტოს გთავაზობთ. ასე გამოიყურებოდა ეს სპორტული მოედანი 1987 წლის 18 მაისს და ასე გამოიყურება დღეს 18 ივნისს. როდემდე? ველით პასუხს.

მარტველ მომზადრეაქიებს სპირტებათ კომპიუტერი

ამას წინათ მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: „მეხსიერების დიდი მოცულობის მქონე პერსონალური კომპიუტერები შეიძლება გამოიყენებოდეს ამ ბოლო ხანს დაგროვილი დიდძალი ინფორმაციის ფიქსირებისთვის. ინფორმაციის ამ რაოდენობას ვერც ერთი ქალაქი ვერ დაიტევს. აუცილებელია მანქანების „დამხარება“. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ელექტროგამომთვლელი მანქანის რთული მოტელშილური და ენდშილური პოზიციების ანალიზის უნარიც შესწავლია, მაშინ ცხადი ხდება, რომ სულ მალე ჩართულ მოჭადრაკეებსაც გაუჭირდებათ მათ გაერე შეუშობა.

ვესაუბრები ნანა ალექსანდრისა — ამ შემთხვევაში ორმხრივად დინტერესებულ პირს — დედოფლის გვირგვინის ერთ-ერთ პრეტენდენტს და ოლიმპიური რეზერვების ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური საჭადრაკო სკოლის დირექტორს.

ელექტროგამომთვლელი მანქანის გამოყენება შემდგომი სრულყოფის ძალზე ფართო შესაძლებლობებს უქმნის ყველა რანგის მოჭადრაკეს. კომპიუტერებს აქტიურად იყენებენ ლეგენდი მოჭადრაკეები. მათი ლიდერო, საერთაშორისო დიდოსტატი ალექსანდრე ბელოვსკი კი თავის მიკროკომპიუტერს ვასცლებს შეჯიბრებების დროსაც არ იცილებს გვერდიდან. ერთ-ერთი საუკეთესო საბჭოთა მწვრთნელი მარტველიც უკვე კომპიუტერში დღეს თავის მრავალ ცნობილ პოზიციას.

ჭადრაკის ზოგიერთ მოყვარულს უდავოდ ადევრება კითხვა, რატომ ადრე არ ფიქრობდნენ ამანგე საქმი ისაა, რომ საჭადრაკო სფეროში კომპიუტერი ძალზე სწრაფად შეჭრა. ფიდე-სთან არსებული საკომპიუტერო კომისია, რომელსაც იანონის წარმომადგენელი მეთაურობს, სულ ახლახან შეიქმნა, მაგრამ კომპიუტერების შესაძლებლობები დღითი დღე იზრდება. ის, რაც გუშინ მათთვის მიუწვდომლად გვესახებოდა, დღეს უკვე რეალობად იქცა.

ჩვენს რესპუბლიკაში მუდამ ზრუნავდნენ და ზრუნავენ ჰადრაკის განვითარებაზე. ვფიქრობ, ამჯერადაც დაგვიგზავნიან საკომპიუტერო ცენტრის შექმნაში. ეს კი ძალზე მნიშვნელოვანია, — ამბობს ნანა ალექსანდრია.

მოჭადრაკის სიდოიერის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად ვარიანტების შორეული და ზუსტი გათვლა ითვლება. მოლით, ვიყოთ ძლიერი და შორსმჭვრეტელი საერთოდ, ცხოვრებაშიც და ჰადრაკშიც.

იანოზა ლაიკიუსი, საქართველოს ჰადრაკის ფედერაციის პაუხისმგებელი მდივანი.

გავიდა ირმაღელის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის გუნდი, მესამეზე — ლესის კოლმეურნეობის ფიზკულტურელები.

3. ცინცაძე, ლანჩუთის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე,

ამოკლად

ლანჩუთი. № 48 პროფტექნიკური სასწავლებლის გუნდმა გაიმარჯვა მაგიდის ჩოგბურთში გა-

# ახალი წესები - ახალი მოთხოვნები

ქროს მედალი - ლ. ხაბალოვი, მეორე ადგილი - დ. გოგაჯიშვილი და ზ. ტაბუაშვილი, მესამე ადგილი - ზ. ტყეშელაშვილი.

ჩვენი მკითხველები  
მედიისთვის

თავისუფალ კიბლაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალის მფლობელმა ისევე ძნელია, როგორც ვერობის ან მსოფლიო ჩემპიონატებში გამარჯვება. ეს ჰემიონატებში ერთხელ კიდევ დადასტურდა ჩვენი ქვეყნის 43-ე ჩემპიონატის მაგალითზე, რომელიც ამ დღეებში ვორონეჟში ჩატარდა. გასაყეთ თავად, პრიზორთა სიაში ამჯერად ვერ მოხვდნენ საქართველოს და ტიტულოვანი ათლეტები - ოლიმპიური ჩემპიონი, ევროპისა და მსოფლიოს ექსჩემპიონი მოსკოველი სანსარ ოპანისანი, ევროპის ექსჩემპიონი მინსკელი ვახა ველოვი, ევროპის ექსჩემპიონი იაკუტსკელი ვასილი გოგოლევი და ბევრი კიდევ სხვა.

მაგრამ ეს სრულდება არ ნიშნავს იმას, თითქოს ლიდერები თმობდნენ პოზიციებს. პირიქით, ფაქტობრივად ამჯერად შეინარჩუნეს თავიანთი მდგომარეობა, ოღონდ უმაღლეს ტიტულს უფრო ძნელ და პრინციპულ ბრძოლაში დაეუფლნენ. შეიდი შარშანდელი ჩემპიონი (ვ. თოგუზოვი, რ. კარაევი, ჰ. ისაევი, ა. ვარაევი, ვ. მოლოსიანი, ძმები მ. და ა. ხაბარცევი) წაუღწია პირველი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის ნაკრები გუნდის ბედს საიმედო ხელშია. ოქროს მედალი დაკარგეს იაკუტსკელმა ვ. გოგოლევმა, თბილისელმა დ. გობეჯიშვილმა და ტაშკენტელმა ა. ფაიევიამ, მაგრამ ეს უკანასკნელი ჩემპიონატში ნაკრების უფროსი მწვრთნელის დაყენებითი მოთხოვნით არ მონაწილეობდა (უფრო სწორად, ისვენებდა).

გობეჯიშვილის გამოსვლით კმაყოფილი დარჩნენ სპეციალისტები და იგი კვლავ რჩება ნაკრები გუნდის კანდიდატად.

წლევანდელმა საკავშირო ჩემპიონატმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ სპორტის ეს სახეობა ჩვენს ქვეყანაში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ყოველ ამათ აიხსნება ის ფაქტი, რომ პრიზორთა სიაში თხუთმეტი სხვადასხვა ქალაქის წარმომადგენლებს ვხვდებით:

	ო.	ვ.	ბ.
კრასნოიარსკი	3	1	—
ტაშკენტი	2	—	—
თბილისი	1	2	1
მახაჩკალა	1	2	1
მოსკოვი	1	1	—
ორჯონიკიძე	1	—	2
გროზო	1	—	—
მინსკი	—	1	2
ერევანი	—	1	—
ვორონეჟი	—	1	—
უღან-უღე	—	1	—
ლვოვი	—	—	1
ბაქო	—	—	1
კიროვკანი	—	—	1
გროზო	—	—	1

როგორც ხედავთ, მედალების სიმრავლით სხვებზე უკეთესი მდგომარეობა თბილისისა და მახაჩკალის მოქიდავებს აქვთ, თუმცა აბსოლუტურად საუკეთესო შედეგს მინც კრასნოიარსკელმა ფლობენ, რომლებმაც ამ ჩემპიონატში ყველაზე ბევრი ოქროს ჯილდო დაისაკუთრეს.

მოქიდავეთა შესახებ, მაგრამ ინფორმაცია რომ უფრო სრული იყოს, ჯერ შარშანდელი შედეგები გავიხსენოთ. 1986 წლის ჩემპიონატის მაჩვენებლებით რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობა, სავსებით სამართლიანად, უკმაყოფილო იყო. და მართლაც ამ წელს ჩვენმა მოქიდავეებმა ორჯონიკიძიდან ერთი ოქროს (დ. გობეჯიშვილი) და ერთი ვერცხლის (ლ. ხაბელოვი) მედალი ჩამოიტანეს.



საქართველოს ჩემპიონატის მსაჯურები

წლევანდელი ჩემპიონატი ახალი სისტემით ჩატარდა. ქულათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში გამარჯვება ამჯერად იმ მოქიდავეს ენიჭებოდა, ვინც ილიუს ბრძოლისთვის განკუთვნილი ექვსი წუთის შემდეგ ჩაატარებდა. დამატებითი დრო (პირველი ილეთამდე) სპორტსმენებისა და მწვრთნელებისგან ვარჯიშისადაც ახალ დამოკიდებულებას მოითხოვს. წვრთნის პროცესში მეტი ყურადღება, როგორც უნდა, გამძლეობის გამოუმუშავებას უნდა დაეთმოს, რაშიც ჩვენი წამყვანი მოქიდავეები ერთობ მოიკოვლებენ.

ამ საკავშირო ჩემპიონატის შედეგების მიხედვით მწვრთნელთა საბჭო სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატებს შეარჩევს, რომლებსაც ავგისტრობს ძნელი, მაგრამ საბატიო გამოცდის ჩაბარება მოუხდება. მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატი საფრანგეთში ჩატარდება.

დაბოლოს ვიტყვი, რომ თავისუფალი სტილის მოქიდავეთა გუნდი ყოველთვის გამოირჩეოდა მონოლითობით და ერთსულო-

ვნებით, რაც ცხადია ძალზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს სპორტული კოლექტივის წარმატებაში. ჩვენი ფალავნების ყველა თვალსაჩინო გამარჯვებაც ამის დასტური იყო. ამ პრინციპს არ უნდა გადავუხვიოთ.

- ქვემოთ ვთავაზობთ ჩემპიონატის პრიზორთა სიას:
- 48 კგ. 1. ს. კარამჩაოვი (კრასნოიარსკი), 2. გ. მეჯლოშვილი (ერევანი), 3. მ. ქუშირი (ლვოვი).
- 52 კგ. 1. ვ. თოგუზოვი (ორჯონიკიძე), 2. ზ. ტაბუაშვილი (თბილისი), 3. ა. აგაევი (ბაქო).
- 57 კგ. 1. რ. კარაევი (მახაჩკალა), 2. კ. აბულთაშვილი (მინსკი), 3. ა. ალისულთაშვილი (მახაჩკალა).
- 62 კგ. 1. ჰ. ისაევი (მოსკოვი), 2. ს. მასიანოვი (ვორონეჟი), 3. ს. სარქისიანი (კიროვკანი).
- 68 კგ. 1. ა. მაგომედოვი (კრასნოიარსკი), 2. ბ. ბუდაევი (უღან-უღე), 3. მ. მამაევი (მინსკი).
- 74 კგ. 1. ა. ვარაევი (გროზო), 2. ნ. ვახიანოვი (მახაჩკალა), 3. ვ. ძუგუტოვი (ორჯონიკიძე).
- 82 კგ. 1. ვ. მოლოსიანი (კრასნოიარსკი), 2. ლ. ვაბრალოვი (მახაჩკალა), 3. ა. საკო (გროზო).
- 90 კგ. 1. მ. ხაბარცევი (ტაშკენტი), 2. რ. არუთინიანი (მოსკოვი), 3. შ. აბულრაჰმანოვი (მინსკი).
- 100 კგ. 1. ზ. ხაბელოვი (თბილისი), 2. ა. ატეგოვი (კრასნოიარსკი), 3. ზ. ტყეშელაშვილი (თბილისი).
- 180 კგ. 1. ა. ხაბარცევი (ტაშკენტი), 2. დ. გობეჯიშვილი (თბილისი), 3. ვ. ხანგევი (ორჯონიკიძე).

## სსრ კავშირის ჩემპიონატი

გაშინე გამართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის XIV ტურის პირველი მატჩი. მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი ცსკა და ლანჩხუთის „გურია“. თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

## საპროტა გუნდი ლიდერია

ოსლოში გამართა 21 წლის ასაკამდე ახალგაზრდა ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ნორვეგიისა და საფრანგეთის გუნდებს შორის. გამარჯვებს ფრანგებმა — 2:1.

III შესარჩევი ჯგუფში 6 ქულათ 4 მატჩის შემდეგ ლიდერობენ საბჭოთა ფეხბურთელები. 4 ქულა აქვს საფრანგეთის გუნდს, მაგრამ მან ჯერ მხოლოდ 3 მატჩი ჩატარა.

## ოლიმპიურ სარკილზე

ევროპის „უ“ ჯგუფში შედგა ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირის შესარჩევი მატჩი. შედეგის ნაკრებმა ქ. მალმიოში ანგარიშით 4:2 დაამარცხა საფრანგეთის გუნდი.

ამ ჯგუფში 4 მატჩის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით ლიდერობს უნგრეთის გუნდი. ფრანგებმა ორი მატჩი ჩატარეს და ორივე წააგეს.

## ბი ტისი პენსიაზე გადის

ცნობილი მწვრთნელი გი ტისი უკვე 11 წელია, რაც ბელგიის ნაკრებს უღვას სათავეში. ამ დღეებში მან განაცხადა, რომ ევროპის 1988 წლის პირველობის დამატებით შემდეგ პენსიაზე გადავიდეს 64 წლისა, მისი ხელმძღვანელობით ბელგიის ნაკრებმა 1980 წელს ევროპის პირველობაზე შეორე ადგილი დაიკავა, მსოფლიოს უკანასკნელ ჩემპიონატში კი მეორე იყო.

## განვიღო შაბათ-კვირას შედგა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.

**I ჯგუფი**

ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „სქური“ (წაღენჯია) 1:2. მხაჭი. ვაგნიძე (თბილისი). გოლები: ანთიძე, აფხაზა („სქური“), ნანობაშვილი (ახ. საფ. სკ.).

„ივერია“ (ხაშური) — „მადნეული“ (ბოლნისი) 0:0, მხაჭი შ. ხანაშვილი (თბილისი).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ბოლნისელი ფეხბურთელი შ. კულუხოვი.

„შირანი“ (ოჩამჩირე) — „ხაღინი“ (გეგეჭკორი) 5:1. მხაჭი გ. ცქიტიშვილი (ქუთაისი). გოლები: ქობალია-3, ვახიანი, ბეჟანი („შირანი“), ბართია („ხაღინი“).

**ფიჭულტურის ინტეგრირებული (თბილისი) — „კახეთი“ (თელავი) 3:0. მხაჭი მ. მირცხულავა (ლანჩხუთი). გოლები: მარეხაშვილი, ბაქრაძე-2 (ფიჭ. ინტ.).**

„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 4:0. მხაჭი მ. კობიაშვილი (თბილისი). გოლები: ვაგუა, ქარჩავა, ციმაკურიძე-2 („სამეგრელო“).

„კოლხეთი“ (ხობი) — „შადრევანი“ (წყალტუბო) — 2:1. მხაჭი რ. ტალიაშვილი (თბილისი). გოლები: ლატარია, სამხარაძე („კოლხეთი“), სენაძე („შადრევანი“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს წყალტუბოელი ფეხბურთელი თ. ცნობილიძე. ამის შემდეგ მან უნებლად ითამაშა, რისთვისაც მინდვრიდან გააძევეს.

„ხაოვენელი“ (თერჯოლა) — „მეტალურგი“ (ზუგდიდი) — 1:0. მხაჭი უ. ფურცელაძე (თბილისი). გოლი: ჩინჩალაძე („ხაოვენელი“).

„ლინამო“ (გაგრა) — „ლინამო“ (ზუგდიდი) 1:1. მხაჭი გ. ცქიტიშვილი (ქუთაისი). გოლები: დგებუაძე (გაგრა), ტიბუა (ზუგდიდი).

„მგობისი“ (ცხაკაია) — „დურუჯი“ (ყვარელი) 1:1. მხაჭი ო. კანდელაკი (თბილისი). გოლები: ვახიანი, სკირია („მგობისი“), მინდაშვილი („დურუჯი“).

„არმაზი“ (მცხეთა) — „სულორი“ (ჯანი) — 2:2. მხაჭი თ. ლა-

ცაბიძე (თბილისი). გოლები: ხუცურაული, სოლოლაშვილი („არმაზი“), პაიციძე, სუბატაშვილი („სულორი“).

„იმედი“-„დინამო“-2 (თბილისი) — „მერცხალი“ (მხარაძე) 0:1. მხაჭი შ. ხანაშვილი (თბილისი). გოლი: ჩხაიძე („მერცხალი“).

„იმერეთი“ (ქუთაისი) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 4:2. მხაჭი ბ. შავიშვილი (ბათუმი).

## საქართველოს პირველობა

**II ჯგუფი**

**I ქვეჯგუფი.** „მეწიგებელი“ (რუსთავი) — „ფოსტალი“ (თბილისი) 5:2, „ბაბტიონი“ (ახმეტა) — „მეტალისტ“ (რუსთავი) 3:0, „გარეჯი“ (საგარეჯო) — უნივერსიტეტი (თბილისი) 3:2, „მირაჟი“ (წითელი წყარო) — „ქიზიყი“ (სიღნაღი) 2:0, „სამგორი“ (გარდაბანი) — „შიონი“-35 (თბილისი) 0:1, „სინათლე“-„ინტერნატი“ (თბილისი) — სასწავლო-საიძველე მეურნეობა (მურხანი) 0:1, „პერეთი“ (ლაგოდეხი) — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) 2:0, „ლაზანი“ (გურჯაანი) — სპი-„დინამო“-3 (თბილისი) 1:4, „თუშეთი“ (ქვემო ალვანი) — „ვარდისუბანი“ (ლაგოდეხის რ-ნი) 2:0.

**II ქვეჯგუფი.** „მეფრინველ“ (ქასი) — „მეგევე“ (ახალდაბა) 3:0, „ფარვანი“ (ბოდანოვკა) — „ალგეთი“ (მარნეული) 2:1, „თორი“ (ბორჯომი) — „არაგვი“ (დუშეთი) 1:1, „ზარზმა“ (ადიგენი) — „აბული“ (ახალქალაქი) 1:1, „ავტომობილისტი“ (გორი) — „მარაბდა“ (ქოდა) 3:1, „კოლმეურნი“ (მარნეულის რ-ნი) — „განთიადი“ (დმანისი) 8:2, „გარისი“ (თეთრი წყარო) — „ლიანვი“ (ცხინვალის რ-ნი) 1:1, „ვარძია“ (ასპინძა) — „ბაგათი“ (ჯავა) 7:0.

**III ქვეჯგუფი.** „ხეაბლი“ (ცაგერი) — „კოგნარი“ (თერჯოლის რ-ნი) 5:1, „ჩიხურა“ (საჩხერე) — „მეწიგებელი“ (ქიათურა) 5:1, „მამისონი“ (ონი) — „ცენტრმეტალურგმენი“ (ზუსტაფონი) 3:2, „ქიმიკოსი“ (ამბროლაური) — „იმერეთი“ (წულუკიძე) 1:1, „ხანა“ (აბაშა) — ხდკ (სამტრედია) 1:0,

„საირმე“ (მაიაკოვსკი) — „მეშაქრე“ (აგარა) 2:0, „ორბირი“ (ტყიბულის რ-ნი) — „მადაროელი“ (ქიათურა) 2:4, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) — „ჩხერიმელა“ (ორჯონიკიძე) 2:0.

**IV ქვეჯგუფი.** „განთიადი“ (ცხაკაია) — „დვაბუ“ (მხარაძე) 2:4, „ჩიბათი“ (ლანჩხუთი) — „დარჩელო“ (ზუგდიდი რ-ნი) 2:0. „მე-

შახტე“ (ტყვარჩელი) — „დინამო“-2 (ბათუმი) 5:3, „კოლხეთი“-2 (ფოთი) — „ნარინჯი“ (ქობულეთი) 2:1, „ალიონი“ (ვალის რ-ნი) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 2:2, „სუბტროპიკი“ (სოხუმი) — „ოლიში“ (ზუგდიდის რ-ნი) 2:1, უნივერსიტეტი (სოხუმი) — „ავტომობილისტი“ (ბათუმი) 1:0.

## ბათუმის ცხრილი

მდგომარეობა 18 ივნისისთვის

I ჯგუფი	თ.	მ.	ფ.	ბ.	ქ.
„სამეგრელო“	18	10	7	1	33-13 27
„მერცხალი“	18	10	7	1	25-9 27
„შადრევანი“	18	12	2	4	29-15 26
„კოლხეთი“	18	11	3	4	27-14 25
„სქური“	18	10	4	4	31-16 24
ფიჭ. ინტ.	18	9	5	4	28-15 23
„სულორი“	18	8	6	4	17-15 22
„საღინი“	18	7	8	3	24-21 22
„დინამო“ გ.	18	6	8	4	21-20 20
„ამირანი“	18	8	3	6	21-23 19
„მეტალურგ.“	18	8	2	8	24-21 18
„სპარტაკი“	18	7	4	7	28-27 18
„ევრისი“	18	6	6	6	25-24 18
„საბოვენელი“	17	7	3	7	21-29 17
„დინამო“ ზ.	17	6	5	6	21-15 17
„მე-დინ.“	2	14	5	4	21-17 15
„მადნეული“	17	4	6	7	21-20 14
„კახეთი“	17	5	3	9	27-31 13
„ქართლი“	18	5	3	10	22-27 13
„იმერეთი“	18	4	4	10	22-39 12
„დურუჯი“	18	3	5	10	13-25 11
„არმაზი“	18	3	4	11	13-30 10
ახ. საფ. სკ.	18	3	0	15	15-42 6
„ივერია“	18	1	3	14	11-32 5

## ევროპის ჩემპიონატი

**III ჯგუფი**

ევროპის ჩემპიონებმა — საფრანგეთის ფეხბურთელებმა კონტინენტის მომავალი პირველობის შესარჩევი მატჩი წააგეს ნორვეგიელებთან ოსლოში — 0:2 (0:0).

ხანგრძლივი წვიმებისაგან დამძიმებულ „ულევალის“ მინდორზე ფრანგები თავიანთი ლიდერისა და კაპიტანის მიშელ პლატინის გარეშე თამაშობდნენ. გუნდს ხელმძღვანელობდა სხვა ვეტერანი — ტიგანა და მცირერიცხოვანი მასურბელი (დაახლოებით 9 ათასამდე კაცი) იმის მოწმე იყო, რომ ფრანგები ჯერ კიდევ შორს არიან თავიანთი ნამდვილი სამბოლო ფორმისგან. სტუმრებს პირველ ტიპში ორჯერ მიეცათ ბურთის ვარდის შესაძლებლობა, მაგრამ ნორვეგიელთა მეკარემ ტორსტეველმა ორივეჯერ მოიგერია პასის სახიფათო დარტყმები. შესვენების შემდეგ ინიციატივამ ნორვეგიელთა მხარეს გადაინაცვლა, 72-ე წუთზე მორდემ და მე-80 წუთზე ანდერსენმა ორჯერ აიღეს სტუმრების კარი.

ეს ნორვეგიელთა პირველი გამარჯვება შესარჩევი ჯგუფში. გათამაშების ცხრილი 18 ივნისისთვის:

სსრ კავშირი	5	4	1	0	10-1	9
გერ.	5	2	2	1	8-2	6
საფრანგეთი	5	1	2	2	2-4	4
ნორვეგია	4	1	1	2	2-5	3
ისლანდია	5	0	2	3	1-11	2

## „იუვენტუსის“ შეფის განცხადება

იტალიელმა მილიონერმა ჯანი ინიელიმ, რომელიც ტურინის „იუვენტუსის“ მფარველობს, განაცხადა, რომ „შავთმიან“ პლატინის თუ ვინმე შეეცდის ეს მხოლოდ „ქართლიანი პლატინი“ იქნება. „ქართლიანი პლატინის“ მილიონერი გერის ნაკრების ყოფილ ნახევარცენტრალურ მუსტერს უწოდებს. ახიელი ცდილობს მოლაპარაკება აწარმოოს „ბარსელონას“ პრეზიდენტ ხოსე ლუის ნუნესთან, მით უმეტეს, რომ მუსტერს, რომელიც ახლა 27 წელია, ამ ესპანურ კლუბში კარგა ხანია არ უთამაშია. „იუვენტუსის“ ტოვებს ცნობილი დანიელი თავდამსხმელი ლაულრუბი, ასე რომ, უელსელ რამსთან ერთად კლუბში მუსტერისათვისაც მოიძებნება ადგილი.

# „მეტის უნარი უსწავთ“

საორბის ტექნიკურ სახეობათა შორის ჩვენს ქვეყანაში ავტოსამართლო სპორტში ერთ-ერთი ყველაზე „ახალგაზრდა“, მაგრამ ხალხურ დიდი პოპულარობით სარგებლობს.

თანამედროვე ავტოსამართლო საკმაოდ რთულ კონსტრუქციას წარმოადგენს. მის გასაყვებლად განსაკუთრებულად კვალიფიციური ინჟინერ-კონსტრუქტორის ცოდნაა საჭირო. თანდათან იზრდება მანქანების სიმძლავრე, სისწრაფე. მაგალითად, თუ 20 წლის წინ საკმარის მოდელს სიჩქარე საათში 70-80 კილომეტრი იყო, ახლაც მანქანებზე 280-300-ს აღწევს. ეს, თავის მხრივ, სპორტსმენებისათვის სულ უფრო მეტ ოსტატობასა და ყურადღებას მოითხოვს.

სოციალისტური ქვეყნების თავდაცვითი საზოგადოებების ასპარეზობა, რომელიც ორიოდე დღის

წინათ დამთავრდა თბილისში, ამის ნათელი დადასტურება იყო. საკმარისი მოდელებით შეჯიბრებაში აქ დამყარდა სამი საკავშირო და ერთი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის რეკორდი, აქედან ორი შედეგი მსოფლიო რეკორდს აღემატება (მსოფლიო რეკორდები ავტოსამართლო სპორტში ფიქსირდება არანაკლებ ევროპის ჩემპიონატის დონის შეჯიბრებებზე).

— თბილისში ამ წარმომადგენლობითი ასპარეზობის გამართვა თქვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა სტაბილურმა შედეგებმა განაპირობა, — თქვა სსრ კავშირის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვ. პობოვმა, — ვფიქრობდით, რომ „მშობლიურ კედლებში“ ისინი უფრო დამაჯერებლად იასპარეზებდნენ. მაგრამ იმედი არ გაგვიმართლდა. ისე ნუ გავგვივებთ, თით-

ქოს გუნდის ხელმძღვანელობა მათ ვემდუროდეთ. უბრალოდ, მათ მეტის უნარი უსწავთ. შეიძლება ახლობლებისა და მეგობრების სიხლოვემ ცოტად დააბნია კიდევ ისინი... აქვე მინდა აღვნიშნო შეჯიბრების ორგანიზაციის მაღალი დონე. ასპარეზობის მსვლელობის დროს თითქმის არავითარი სერიოზული შეფერხება არ ყოფილა.

ჩვენი რესპუბლიკიდან საბჭოთა კავშირის ნაკრებში მიწვეულნი იყვნენ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები პაატა შარიპაშვილი და დავით ჩხაიძე, სპორტის ოსტატები ვალერი წიქარიძე, ანდრე გალუსტიანი და ბორის შუმანი. მოზრდილთა და იუნიორთა ასპარეზობებში მათ ერთი ოქროს, ორი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, რითაც გარკვეული წვლილი შეიტანეს საბჭოთა ნაკრების წარმატებაში.

## ავტოსამართლო სპორტში

### ბენიკაური შედეგები:

შეგაწვისძრავიანი საკმარისი მოდელები: ე-1 კლასი (1,5 კმ. სმ მოცულობის ძრავა) 1. ილია ცარსი (ბულგარეთი) 240,160 კმ. სთ — ბულგარეთის რეკორდი (მსოფლიოს არაოფიციალური რეკორდი); 2. მარინ ლესიკოვი (ბულგარეთი) 235,849 კმ. სთ; 3. ალექსანდრე კარპუზიკოვი (სსრკ) 235,694 კმ. სთ — სსრ კავშირის რეკორდი. ე-2 კლასი (2,5 კმ. სმ) 1. ალექსანდრე გრებენკინი (სსრკ) 260,266; 2. მარინ ნედელჩევი (ბულგარეთი)


259,777; 3. ალექსანდრე როტარუ (რუმინეთი) 206,351. ე-3 კლასი (5 კმ. სმ) 1. იაკოვ რინგვიცი (სსრკ) 290,418 — სსრ კავშირის რეკორდი (მსოფლიოს არაოფიციალური რეკორდი); 2. ალექსანდრე უზგარეთი-277,050; 3. სერგეი სოლდატოვი (სსრკ) 264,861. ე-4 კლასი (10 კმ. სმ) 1. ევგენი რუდნევი (სსრკ) 308,271 — სსრ კავშირის რეკორდი; 2. ვალერი კარტჩენკოვი (სსრკ) 306,278; 3. ხრიტო კერჩევი (ბულგარეთი) 305,084.

თავისუფალი კონსტრუქციის ელექტროძრავიანი რადიოსამართლო მოდელები (რკბ). 1. რიმას მიხნაივიჩი (სსრკ-1) 24,23 წმ.; 2. პაატა შარიპაშვილი (სსრკ-1) 24,46; 3. ანდრე გალუსტიანი (სსრკ-1) 25,24. იუნიორები: 1. რიმას მიხნაივიჩი 24,23; 2. ანდრე გალუსტიანი 25,24; 3. ანბი ტიმპანი (გდრ) 27,44.

ელექტროძრავიანი რადიოსამართლო ნახევარსაბჭოთა მოდელები (რკე-12): 1. ვლადიმირ სტრნაი (ჩეხოსლოვაკია); 2. ჰენრიხ ვისოკასი (სსრკ-2); 3. ბორის შუმანი (სსრკ-2). იუნიორები: 1. ბორის შუმანი; 2. იაროსლავ ოსმულსკი (პოლონეთი); 3. ანდრე გალუსტიანი.

შეგაწვისძრავიანი რადიოსამართლო მოდელები: ფ-1 კლასი: 1. პეტერხაიკუსი (უნგრეთი) 88 წრე; 2. შტეფან ბოგუშიჩი (ჩეხოსლოვაკია) 85 წრე; 3. მარტინ ხეინი (გდრ) 83. ფ-2 კლასი: 1. ილმარ ვესილაკი (სსრკ-1) 95 წრე; 2. ნავალ ხანზელი (ჩეხოსლოვაკია) 88; 3. პეტერ ხაიკუსი (უნგრეთი) 86.

გუნდური: 1. სსრკ-1 — 3.000 ქულა; 2. ბულგარეთი — 2.088; 3. ჩეხოსლოვაკია — 1.762.



## წიგნის თარიღი

### ინსპ. ვახუშტის „მარტოობა“

ინსპ. ვახუშტი, მექსიკა, არგენტინა, ესპანეთი, კვლავ მექსიკა... ფეხბურთში მსოფლიოს ხუთ ჩემპიონატს დაესწრო ცნობილი ქართველი მწერალი გურამ ფანჯიციძე და საქმიანდები „ნადავლიც“ ჩამოიტანა — ექ, მსოფლიოს დიდ სტადიონებზე მიღებული შთაბეჭდილებებმა და აწერინა მსოფლიო მსაბრუნველთა მსოფლიო ჩემპიონატს ფეხბურთში.



გურამ ფანჯიციძე მსაბრუნველი

## გმობილი ტექნიკური შედეგები

ამიერკავკასიის საკავშირო მრავალდღიანი ველორბოლის პირველი ნახევარი, როგორც ცნობილია, ჩვენი რესპუბლიკის გზებზე ჩატარდა. მერე რბოლამ სომხეთის ტერიტორიაზე გადაინაცვლა, სადაც ასევე ექვსი ეტაბი გათამაშდა. გთავაზობთ მოძმე რესპუბლიკაში ჩატარებული შეჯიბრების ტექნიკურ შედეგებს.

**10 ივნისი. VI ეტაბი. პროლოგი 6 კმ. 1. არამ ავეტისიანი (ერებუნი — I) — 12,61.**

**11 ივნისი. VII ეტაბი. ჯგუფური რბოლა 144 კმ. 1. ვიქტორ დემი-**

**დენკო (კუბიშვილი-I) — 3:47.25.**

**12 ივნისი. VIII ეტაბი. ჯგუფური რბოლა 12 კმ. 1. ვიქტორ კუბოვეცი (კუბიშვილი-II) — 3:00.50.**

**13 ივნისი. IX ეტაბი. ინდივიდუალური რბოლა 20 კმ. 1. ვიქტორ კუბოვეცი (კუბიშვილი-II) — 26.18; X ეტაბი. კრიტერიუმი 50 კმ. 1. ვიქტორ დემიდენკო (კუბიშვილი-I) — 1:15.35.**

**14 ივნისი. XI ეტაბი. ჯგუფური რბოლა 146 კმ. 1. ვაცლავ გუმულიაუსკასი (ესპრ. რეზერვები“ — მონსკი) — 4:01.00.**

**15 ივნისი. XII ეტაბი. ჯგუფური**

## ველორბოლა აზიურკავკასიის გზებზე დამთავრდა

რბოლა 70 კმ. 1. კონსტანტინე ბანკინი (კუბიშვილი-I) — 1:40.30.

12 ეტაბის ჩაშლი ამიერკავკასიის საკავშირო მრავალდღიანი ველორბოლა კუბიშვილის-I გუნდის წარმომადგენელმა კონსტანტინე ბანკინმა მოიგო — 30:01.21, მეორე ადგილზე მისი თანაგუნდელი ვიქტორ დემიდენკო გავიდა — 30:01.28, მესამეზე — მინსკის „შრომითი რეზერვების“ ველოსიპედისტი ალექსანდრე მაჩხინი — 30:17.24.

საქართველოს ველოსიპედისტთაგან საუკეთესო შედეგები ჰქონდათ: სერგეი კრასავცევი —

30:37.24 (VI ადგილი), მამუკა გვარამია — 30:46.02 (IX ადგილი) და რომან სავიციანი — 30:48.30 (XI ადგილი).

სამთო ეტაპებზე გამარჯვებისთვის დაწესებული პრიზი კუბიშვილის პირველი გუნდის წარმომადგენელმა ოლეგ რიამ მოიგო — 17 ქულა.

გუნდური ადგილები 12 ეტაბის ჩაშლი ასე განაწილდა: 1. კუბიშვილი-I — 90:32.16, 2. „შრომითი რეზერვები“, მინსკი — 91:34.39, 3. მომხიბული მომხაზვლები (ცენტრი „ივერია“ — 91:55.19.

## „გეოგრაფიის თასი“ — საგმობი რაღისტებს

რუმინეთში გაიმართა „მეგობრობის თასი“ მეოთხე ეტაბი ავტოსამართლო სპორტის სპორტსმენებმა აქ პირველი ადგილი მოიპოვეს როგორც გუნდურ, ისე პირად ჩათვალაში და ვადაზე აღრე დასაკუთრეს „მეგობრობის თასი“. მერე ადგილზე გავიდნენ ჩეხოსლოვაკიელი, მესამეზე — ბულგარელი სპორტსმენები. „დუნაი“-„დაჩიას“ რაღის რთულ ტრასაზე საბჭოთა მრბოლელებმა, რომლებიც სპეციალურად მომზადებული მანქანებით — „ლადა-ვფტს“ გამოდიოდნენ, პირველი, მესამე და მეექვსე ადგილები მოიპოვეს.

რაღისტებს წინ თასის გათამაშების ბოლო ეტაბი ელთი, რომელიც ივლისში გაიმართება პოლონეთში.

<b>გზა</b>	მიუნენის „ბაიერნა“ სტუმრად დაამარცხა „შტუტგარტი“ — 3:1. გოლები გაიტანეს მათელსა (2) და კიოგმა. „ჰამბურგმა“ სძლია „ბლაუ ვაისს“ — 2:1. სხვა შეხვედრები: „ნიურნბერგი“ — „კაიზერსლაუტერნი“ 2:1, „კიოლინი“ — „ბორუსია“ (მიონხენგლადბახი) 2:4, „ფორტუნა“ — „ვერდერი“ 2:1, „ბორუსია“ (დორტმუნდი) — „ბოხუმი“ 3:2, „შალკე-04“ — „აინტრახტი“ 3:1, „ბაიერი“ (იუდინგენი) — „ბაიერი“ (ლევერკუზენი) 1:1, „ჰამბურგი“ — „ვალდჰოფი“ 2:1.
<b>„ბაიერი“</b>	33 66:81 51
<b>„ჰამბურგი“</b>	33 65:87 45
<b>იტალია</b>	თასის ფინალში „ნაპოლიმ“ ორჯერ დაამარცხა „ატალანტა“. პირველ შეხვედრაში — 3:0 (რენია, ბანი, მურო), ხოლო მეორეში — 1:0 (ჯორდანო), დამარცხების მიუხედავად „ატალანტა“, რომელმაც

<b>გაგანი</b>	თასის ფინალში „მეხლენმა“ დაამარცხა „ლიევი“ — 1:0. ერთადერთი გოლი მატჩის 30-ე წუთზე დენ ბურმა გაიტანა.
<b>ესპანეთი</b>	ბოლოსწინა ტურში მადრიდის „რეალიმ“ სტუმრად სძლია „სარაგოსას“ (3:1) და ჩემპიონობა მოიპოვა. ორი გოლი გაიტანა ბუტრაგენიომ. „ბარსელონა“ დამარცხდა ხისონში „სპორტინგთან“ (0:1).
<b>„სპორტპროგრესი“</b>	უჩვეულოდ დამთავრდა „ესპანოლისა“ და მალიორკის „რეალის“ შეხვედრა. უხეში თამაშისთვის მსაჯმა ზედხელ სტუმართა

<b>„რეალი“</b>	48 82:85 65
<b>„ბარსელონა“</b>	48 60:27 61
<b>საზარანეთი</b>	თასის ფინალში „ბორდომ“ დაამარცხა „მარსელი“ (2:0) და „დუბლი“ შეასრულა. ბურთები გაიტანეს ფარეონმა და ზლატკო ვუიოვიჩმა.
<b>რტპროგრესი</b>	23 ტირაქის შედეგები, რომელიც 1987 წლის 6-7 ივნისს გაიმართა. ტირაქში დაუშვეს 6.576.950 ვარიანტი. 13 შედეგს გამოცნობისთვის (168) მოგება 593 მანეთი შეადგინა, 12 შედეგის გამოცნობისთვის (4.418) — 48 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (38.583) — 17 მანეთი.
<b>საზარანეთი</b>	23 ტირაქის მოგებათა განაღდება იწარმოებს 1987 წლის 26 ივნისიდან 26 ივლისამდე.

**პირანზე და თიარში...**

**ცენტრალური ტალავიზი. 18 ივნისი.** დილის დაჭურვა — 8.00 (1); დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); რიტმული ტანვარჯიში — 19.15 (2); სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო“ (მინსკი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) — 20.00 (2); ჯანმრთელი რომ იყო — 20.35 (1); სსრ კავშირის თასი წყალქვეშა ორიენტირებაში — 21.45 (2).

**19 ივნისი.** დილის დაჭურვა —

**საპრთველოს ტალავიზი. 18 ივნისი.** სპორტული პროგრამა: 1 სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: ცსკა-„გურია“ (ლანჩხუთი); 2. სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში: „დინამო“ (თბილისი) — ცსკ ვმფ — 22.45.

**19 ივნისი.** სპორტული პროგრამა: 1. სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი); 2. საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში — 22.40.

**საპრთველოს რადიო: 18 ივნისი.** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი) — 20.30.

**„სპორტპროგრესი“**

**საორბული** ლატარების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპო-

რტპროგრესი“ 23 ტირაქის შედეგები, რომელიც 1987 წლის 6-7 ივნისს გაიმართა. ტირაქში დაუშვეს 6.576.950 ვარიანტი. 13 შედეგს გამოცნობისთვის (168) მოგება 593 მანეთი შეადგინა, 12 შედეგის გამოცნობისთვის (4.418) — 48 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (38.583) — 17 მანეთი.

23 ტირაქის მოგებათა განაღდება იწარმოებს 1987 წლის 26 ივნისიდან 26 ივლისამდე.

## რედაქტორი თ. გაჩეჩილაძე

**3. დიმიტროვის სახელობის საპრთველო ქარხნის სტადიონი**

18 ივნისი

**ფეხბურთი**

საკავშირო გათამაშება II ლიგა, IX ზონა „შეპარდენი“-სპი (თბილისი) „ოლიმპიკა“ (დენინაკანი) დასაწყისი 19 საათზე

**ჩვენი მისამართი:** წერილებისთვის — 380098 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

**ჩადაპების ტალავიზი:** სამდენო — 98-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 98-97-58, წერილების განყოფილება — 98-97-55, „მერანი“ — 98-97-26, „მარტვი“ — 98-97-27.

**ჩვენი მისამართი:** 05 დეპეშის: 66495

**საქართველოს კვ. ც.-ის გამოცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენის სტამბა.** 380098, თბილისი, ლენინის ქ. 14. იხილეთ ოქტომბრის წიგნი საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უა 06999